


შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია შპს საერთაშორისო პროფესიული განათლების აკადემიის წესდებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე და განსაზღვრავს კოოპერაციული, დუალური (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა), იმიტირებული და ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევების შეფასების წესს კოლეჯში.
2. კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, კვალიფიკაციის მინიჭებისთვის დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ათვისება ხდება კოლეჯში და/ან წარმოებაში სასწავლო გეგმის შესაბამისად.
4. პროფესიული სტუდენტი კოლეჯში ეუფლება თეორიულ ცოდნას და გამოიმუშავებს პრაქტიკულ უნარებს.

მუხლი 2. შეფასების პრინციპები

1. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
 - ა) ვალიდურობას;
 - ბ) სანდოობას;
 - გ) გამჭვირვალობას;
 - დ) სამართლიანობას;
 - ე) ობიექტურობას.
- 1.1. ვალიდურობა.

ვალიდურობა არის შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომი, რომელიც არკვევს შეფასების მიზნის შესაბამისობას სწავლის შედეგთან; ვალიდურობა იძლევა შესაძლებლობას მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდეს პროფესიული სტუდენტის კონკრეტული კვალიფიკაციის ფარგლებში შესაბამისი ცოდნა და უნარები. შეფასება არავალიდურია იმ შემთხვევაში, თუ შეფასების მოთხოვნები მიზანთან/სწავლის შედეგთან შეუსაბამოა;
- 1.2. სანდოობა. სანდოა შეფასება თუ:
 - 1.2.1. შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებს;
 - 1.2.2. გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;
 - 1.2.3. ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;
 - 1.2.4. ის უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.
- 1.3. ობიექტურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა.
 - 1.3.1. ობიექტური და სამართლიანი შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე. მასში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის ესა თუ ის სწავლის შედეგი. სასურველია, რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყოს ცნობილი პროფესიული სტუდენტისათვის.
 - 1.3.2. მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერიითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

1.3.3. სასურველია პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩეს შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტი და სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო.

1.3.4. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ადვილად გასაგები და პროცესში ჩართულ ყველა პირს, მათ შორის, პროფესიულ სტუდენტს ერთმნიშვნელოვნად ესმოდეს მისი შინაარსი. თუმცა, სიმარტივე უნდა გამორიცხავდეს მტკიცებულებებიდან რომელიმეს უგულებელყოფას.

მუხლი 3. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
2. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს);
3. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას (დანართი №1);
4. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს დანართი №2-ის მიხედვით დამტკიცებულ ფორმას;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.

მუხლი 4. შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა (დანართი №2)

შეფასების ინსტრუმენტში სავალდებულოდ მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
2. მოდულის დასახელება და კოდი;
3. შეფასების თარიღი;
4. შეფასების ხანგრძლივობა. თუ შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ერთზე მეტ შეფასების მიმართულებას, შეფასების ხანგრძლივობა განისაზღვრება თითოეული მიმართულებისათვის ცალ-ცალკე.
5. შესაფასებელი პირის პირადი ნომერი;
6. მოდულის განმახორციელებელი პირის/შემფასებლის სახელი, გვარი;
7. სწავლის შედეგის ნომერი და დასახელება. თუ მოცემული შეფასების ინსტრუმენტით ფასდება სწავლის შედეგის კონკრეტული კრიტერიუმი, მიეთითება ეს კრიტერიუმიც;
8. შეფასების მიმართულება;
9. შეფასების მტკიცებულების სახე;
10. შეფასების გარემოს აღწერა;
11. შეფასებისათვის საჭირო რესურსი;
12. შეფასების ინსტრუქცია. ინსტრუქცია მოიცავს სხვა პირობებს, თუ ის განსხვავდება ზოგადად დადგენილი პირობებისაგან, მაგალითად: სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების უფლებას, ჯგუფური/ინდივიდუალური სამუშაოს, დავალების წარმოდგენის ფორმასა და სხვა.
13. სწავლის შედეგის დადასტურების პირობები;
14. განმეორებითი შეფასების პირობები. აღნიშნულ გრაფაში მიეთითება სწავლის შედეგის ან კრიტერიუმის განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა და ზოგადი ჩანაწერი განმეორებითი შეფასების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. განმეორებითი შეფასების პროცედურული საკითხები დარეგულირებულია წინამდებარე წესით;
15. შეფასების შედეგების სქემა სწავლის შედეგებისა და კრიტერიუმების ნომრების მითითებით;
16. შემფასებლის ხელმოწერა;
17. ინფორმაცია შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის შესახებ.

მუხლი 5. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურა

1. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.

2. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებიდან.
3. მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში მეთოდოლოგიური დახმარებისთვის მიმართოს კოლეჯის სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს.
4. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებულ პროექტებს იხილავს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი შესაბამისი დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში.
5. შეფასების ინსტრუმენტს მოდულის განმახორციელებელი მოდულის დაწყებამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს ვალიდაციისათვის.
6. ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით.
7. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.
8. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერის მიერ შტამპდასმული და დათარიღებული, ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

მუხლი 6. ვერიფიკაციის პროცედურა

1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი.
2. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით (იქმნება კოლეჯის დირექტორის მიერ), რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში.
3. ვერიფიკაცია ხდება კოლეჯში წინასწარ შემუშავებული რისკების სისტემის მონაცემების შესაბამისად, რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების გათვალისწინებით.
4. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება დანართ №3-ით განსაზღვრული სქემის შესაბამისად.
5. ვერიფიკაციის პროცედურის შედეგად ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შედგება დასკვნა (დანართი №4), რომელშიც ნათლად და დასაბუთებულად უნდა იქნას ასახული, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. დასკვნაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას ვერიფიკაციის პროცედურის დროს წამოჭრილი ყველა პრობლემა.
6. ვერიფიკაციის დასკვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი ადგენს დასკვნაში არსებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმას, სადაც სრულყოფილად უნდა ასახოს ყველა განმახორციელებელი აქტივობა, განხორციელების ვადები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსი. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის ვალდებულება აქვს ხარისხის მართვის მენეჯერს.
7. ვერიფიცირებულ შეფასების ინსტრუმენტზე განთავსებულია წარწერა - „ვერიფიცირებულია“ და ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმოწერა.

მუხლი 7. შეფასების მტკიცებულება

1. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ციფრული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში.
2. შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს.
3. შეფასების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.
4. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს შეფასების მტკიცებულებები. ხოლო თუ მოდული

წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს იმ პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებმაც ვერ დაიდასტურეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. განმეორებითი შეფასებისას, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს წარუდგინოს არაუგვიანეს ახალი მოდულის დაწყებამდე 1 დღით ადრე.

5. შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით.

6. არქივში გადაცემული შეფასების მტკიცებულების გამოთხოვაზე უფლებამოსილი პირი - კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ან გარე შემფასებელი კოლეჯის დირექტორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე, მის მიერ განსაზღვრული ვადით არქივიდან გამოითხოვს შეფასების მტკიცებულებებს. ამავე დროს, გამომთხოვი პირი წერილობით ადასტურებს, რომ დაიცავს პერსონალურ ინფორმაციას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

7. შეფასების მტკიცებულებების განადგურება ხორციელდება პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადაში, დადგენილი წესით.

მუხლი 8. შეფასების გაფორმება

1. პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით (დანართი №5).

2. შეფასების გაფორმების დოკუმენტები (უწყისები) პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერთან ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

მუხლი 9. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის

კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერდადასტურების მაჩვენებლები) შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნებისათვის.

მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის შეფასება

1. შეფასების პროცესში, გადაწყვეტილების მიღებისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულების შესაბამისობა სწავლის შედეგების კრიტერიუმებთან. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით განიხილავს შეუძლია თუ არა პროფესიულ სტუდენტს დავალების თანამიმდევრულად შესრულება. პროფესიული განათლების მასწავლებელი მტკიცებულებას მთელ რიგ პრინციპებზე დაყრდნობით შეაფასებს. შეფასების პროცესის სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებელს შეუძლია მოიწვიოს დამსწრე პირი შეფასების საათზე.

2. პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის შემდეგ მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.

3. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.

4. განმეორებითი შეფასებისას, გამოკითხვის მიმართულების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გამოყენებული უნდა იქნას შეფასების ახალი ინსტრუმენტი.

5. თუ პროფესიული სტუდენტი დადგენილი წესით ვერ დაიდასტურებს იმ მოდულს, რომელიც წარმოადგენს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე გასავლელი რომელიმე მოდულის წინაპირობას, ვერ გადადის სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე.

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების გასაჩივრების პროცედურა

1. თუ პროფესიულმა სტუდენტმა სწავლის შედეგის შეფასება არასამართლიანად ჩათვალა, მან გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართოს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა.

2. სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერი/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას პროფესიულ სტუდენტთან და კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დაწესებულება უფლებამოსილია შეადგინოს კომისია, რომელიც უნდა შეიკრიბოს საჭიროების დადგომიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, კომისიის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად.

მუხლი 12. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

2. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება კოლეჯში შესაძლებელია განხორციელდეს დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმით. დუალური სწავლება გულისხმობს კოლეჯისა და სასწავლო საწარმოს მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში, ხოლო კოოპერაციული სწავლება - კოლეჯისა და სასწავლო საწარმოს მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია, განხორციელდეს დაწესებულებაში.

3. დუალური სწავლებისას, პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო საწარმოს შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფორმდება შრომითი ან სამუშაოს შესრულების/მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ ამავე საწარმოში მისაღწევ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებას.

4. კოლეჯთან ერთად პროგრამის დუალური სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს/აქვთ პირს/პირებს, რომელსაც საქართველოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებლად/რომელთაც ერთობლივად მოპოვებული აქვს/აქვთ სასწავლო საწარმოს სტატუსი, ხოლო კოლეჯთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს მეწარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების შესაბამისად.

5. სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.

6. სამუშაოზე დაფუძნებული პრაქტიკული კომპონენტის ათვისების დროს პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- 6.1. სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი ცხრილის მიხედვით დროულად გამოცხადდეს წარმოებაში;
- 6.2. დაემორჩილოს წარმოების შინაგანაწესს და განუხრელად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;
- 6.3. ინსტრუქტორის მითითების შესაბამისად შეასრულოს დავალებები სამუშაოების წარმოებისას;
- 6.4. ყოველდღიურად აწარმოოს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი დადგენილი წესის შესაბამისად (დანართი №6). ჩანაწერების ჟურნალში აღირიცხება პროფესიული სტუდენტის მიერ

- განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში. ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას;
- 6.5. პრაქტიკის ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით შეაგროვოს შეფასების ვალიდური მტკიცებულებები (ვიდეო, ფოტო-სურათები, დაკვირვების ფურცელი ანუ „ჩეკლისტი“ და სხვ.);
- 6.6. პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ დამოწმებული პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი გადასცეს მოდულის თეორიული ნაწილის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.
7. პრაქტიკის ინსტრუქტორი ვალდებულია:
- 7.1. წარმოებაში პროფესიული სტუდენტის მიღებამდე გაეცნოს მის დახასიათებას, რომელსაც წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელი;
- 7.2. პროგრამის შესაბამისად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდულების შინაარსის მიხედვით მიიღოს წარმოებაში მასზე მიმაგრებული პროფესიული სტუდენტები;
- 7.3. უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის წარმოების შინაგანაწესისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების გაცნობა;
- 7.4. უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის თითოეული დავალების დეტალური ინსტრუქციის მიცემა და მუდმივი მეთვალყურეობა მათ მიერ სამუშაოების წარმოებისას;
- 7.5. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს ჩანაწერების ჟურნალში ჩანაწერების არსებობა, სისრულე და მართებულობა. სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ჟურნალში არსებულ ჩანაწერებს და პროფესიულ სტუდენტს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითება.
- 7.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ან/და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან შეთანხმებით დანიშნოს მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურების დრო და ადგილი;
- 7.7. შუალედურ შეფასებამდე, ასევე პროგრამის დასრულებამდე და პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილებამდე, ჩანაწერების ჟურნალში არსებული ჩანაწერების შეფასების საფუძველზე, ადასტურებს ან არ ადასტურებს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
- 7.8. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დროს სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების შექმნა, შეგროვება და შენახვა ხორციელდება ამ წესის დანართი №7-ის შესაბამისად. (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შეფასების ფორმა - დანართი №8)

მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი

- 1.წინამდებარე წესი ადგენს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
2. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
- ა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულები – „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები;
- ბ) პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო (შემდგომში – პორტფოლიო) – პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით;
- გ) პრაქტიკული დავალება - პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის მეშვეობითაც სწავლის შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტის ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შემოწმება მის მიერ შესრულებული სამუშაოს/ნამუშევრის შეფასების გზით;
- დ) თემა – ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფარგლებშიც, პრაქტიკული დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა;

- ე) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია – შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება;
- ვ) ვერიფიკაცია – დაწესებულებაში შექმნილი დადასტურების კომისიის (შემდგომ – დადასტურების კომისია) მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.
- ზ) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შეფასების კონვერტაცია - შეფასების რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების კონვერტაცია დიფერენცირებულ განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისთვის (შემდგომ – შეფასების კონვერტაცია);
3. დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.
4. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ეფუძნება წინამდებარე წესით განსაზღვრულ შემდეგ პრინციპებს: კალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.
5. კოლეჯი უზრუნველყოფს თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებას.
6. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.
7. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება შემაჯამებელი ფუნქციის მქონე პრაქტიკული დავალების საშუალებით და მისი მიზანია დაადასტუროს სწავლის შედეგის მიღწევა.
8. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.
9. დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების კონვერტაცია შესაძლებელია
10. პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში. შეფასების ტაქსონომია მოიცავს შეფასების ხუთ დონეს (დანართი N9).
11. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების კონვერტაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება მოდულის დასრულებისთანავე, ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით (დანართი 10).
12. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების მიზნებისათვის გამოიყენება დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:
- ა) მოდულის ქულა – პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება;
- ბ) საფეხურის ქულა – პროგრამაში ინტეგრირებულ ზოგად მოდულებში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.
13. პროფესიული სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიმართვის შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია მიმართვიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, ამავე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად გასცეს პროფესიული სტუდენტის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში აკადემიური მიღწევების ამსახველი დიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასების ცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით
14. პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს მტკიცებულებას თუ რატომ შეფასდა სტუდენტი ტაქსონომიის ამა თუ იმ დონესთან შესაბამისობაში.
15. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე პრაქტიკულ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (პრაქტიკული დავალებების საშუალებით).
16. შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე პრაქტიკული დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი პრაქტიკული დავალებით შეფასება.

17. პრაქტიკული დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.

18. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელება, რაც კოლეჯის მხრიდან სწავლა-სწავლების მთელი პროცესის განმავლობაში წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერას პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. აღნიშნული აქტივობისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობას პორტფოლიოს წარმოებაზე ზედამხედველობის ნაწილში, პორტფოლიოს წარმოებაში პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობათა გაძლიერებას და მონიტორინგს, ელექტრონული პორტფოლიოსადმი ხელმისაწვდომობის ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას არსებობის შემთხვევაში.

19. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია თითოეული თემის ფარგლებში ისარგებლოს განმეორებით შეფასებით ერთჯერადად იმ შემთხვევაში, თუ არ გამოცხადდა შეფასებაზე, ვერ წარმოადგინა პრაქტიკული დავალების შესრულების მტკიცებულება, ან წარმოდგენილი მტკიცებულება (ნაშრომი) ვერ ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტი გავიდა შეფასების ტაქსონომიის მინიმუმ მიმართებით დონეზე

20. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია განმსაზღვრელ შეფასებაზე გამოუცხადებლობის ან სწავლის შედეგის მინიმუმ მიმართებით დონეზე დაუდასტურებლობის შემთხვევაში, წერილობითი მომართვიანობის საფუძველზე, შეფასების შედეგების პორტფოლიოში ასახვიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი, მაგრამ არაუმეტეს ერთი მცდელობისა.

21. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პრაქტიკული დავალების შეფასებიდან ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებების პორტფოლიოში ასახვა.

22. პორტფოლიო მოიცავს პროფესიული სტუდენტის პროგრესის ამსახველ მტკიცებულებებს, პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკული დავალებების ქრონოლოგიას, პროფესიული განათლების მასწავლებლის უკუკავშირსა და შეფასებას ტაქსონომიის გამოყენებით.

23. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. 5 წლის გასვლის შემდეგ დაარქივებული მონაცემები ავტომატურად იშლება.

24. პორტფოლიო შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

ა) პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან პასპორტის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

გ) ინტეგრირებული მოდულის სახელწოდება;

დ) თემის დასახელება;

ე) პრაქტიკული დავალების შინაარსი და ნომერი;

ვ) პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალების შესრულების მტკიცებულება;

ზ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასება და მიცემული უკუკავშირი;

თ) პრაქტიკული დავალების მიცემის, შესრულების და პორტფოლიოში მისი განთავსების თარიღები.

25. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.

26. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკული დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია ამ მუხლის დანართის შესაბამისად, მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე.

27. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.

28. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, კოლეჯში შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში – დადასტურების კომისია) ადგენს, რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;

ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.

29. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილი იქნება პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.

30. დადასტურების კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს დადასტურების კომისიის სამდივნო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

31. დადასტურების კომისიის სამდივნოს ფუნქციებია:

ა) დადასტურების კომისიის წევრების მოწვევის ორგანიზება და დასრულებული ინტეგრირებული მოდულის პორტფოლიოს განხილვის თარიღის შეთანხმება;

ბ) შერჩევის კომისიისათვის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;

გ) დადასტურების კომისიის სხდომის ოქმის შედგენა;

დ) კოლეჯის დირექტორის მიერ სხვა უფლებამოსილების შესრულება.

32. დადასტურების კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით და გამორიცხავს მხოლოდ კოლეჯის წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

33. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დადასტურების კომისია შედგება არანაკლებ 5, მუდმივმოქმედი და ცვლადი წევრებისგან.

34. დადასტურების კომისიის ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

35. დადასტურების კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა.

36. დადასტურების კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა, რომელიც არ უნდა წარმოადგენდეს კოლეჯის წარმომადგენელს.

37. დადასტურების კომისიის წევრი უფლებამოსილია მისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით დაურთოს ოქმს.

38. დაწესებულება უზრუნველყოს დადასტურების კომისიის მიერ ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობას ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების გათვალისწინებით.

39. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების სისტემის გამჭვირვალების პრინციპიდან გამომდინარე, პირისპირ/კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით, გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების თარიღისა და შეფასების პროცესებთან დაკავშირებით.

40. კოლეჯი საინფორმაციო შეხვედრების/ინდივიდუალური კონსულტირების პირობებში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესისა და შეფასების კონვერტაციის შესაძლებლობის თაობაზე.

41. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გაცნობისას დაიცვას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები.

42. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია დადასტურების კომისიის მიერ არადაამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებების პორტფოლიოში ასახვიდან 1 კვირის ვადაში.

43. გასაჩივრებას ექვემდებარება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მინიმუმ მიმართებით დონეზე შეფასებული პრაქტიკული დავალება.

44. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი ინტეგრირებული ზოგადი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.

45. შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში.

46. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი/შემოქმედებითი პროდუქტი ფასდება მხოლოდ ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით, შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილ იქნას კოლეჯის შესაბამისი დარგის/კომპტენციის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

47. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.

48. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს შეფასების კორექტირების თაობაზე.

49. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას ასაჩივრებს პროფესიული სტუდენტი, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

50. საჩივრის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 17. კვალიფიკაციის მინიჭება, საკვალიფიკაციო გამოცდა

